106
1937/9
F 133
1937

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1937 წ. აპრილის 27 № 9 ტფილისი.

შინაარსი

მიწის, წყლის და ტყის მეურნეობა.

სოფლის მეურნეობა.

58. კალია-მავნებლებთან ბრძოლის ჩატარების შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

59. საქართველოს სსრ სავაჭრო ორგანიზაციების (სავაჭროების) რეორგანიზაციისა და [illegible]ური ფინანსიური მდგომარეობის შესახებ.

60. სახელმწიფოსათვის მისაწოდებელი კარტოფილის ჩაბარების ნორმების შესახებ.

ფინანსები.

61. „საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსაღებით კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობის დაბეგვრის თაობაზე“ გამოცემული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-3 მუხლის შეცვლის შესახებ.

მიწის, წყლის და ტყის მეურნეობა. სოფლის მეურნეობა

58. დადგენილება ს. კ. ს.

კალია-მავნებლებთან ბრძოლის ჩატარების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. კალია-მავნებლებთან ბრძოლისათვის საჭირო სამუშაოების მოცულობა [illegible]ანისაზღვროს შემდეგი ოდენობით; მაროკოს კალიასთან—2.000 ჰექტარზე, [illegible]ტალიურ კალიასთან—5.800 ჰექტარზე და მჭედელასთან—6.100 ჰექტარზე, სულ 13.900 ჰექტარზე.

2. დამტკიცებულ იქნას ამასთანავე დართული გეგმა კალია-მავნებლებთან ბრძოლისა რაიონების მიხედვით (იხ. დანართი).

3. 1-ლ მუხლში აღნიშნული ფართობისაგან მიწისზედა მეთოდით ბოსტუეულებით დამუშავებულ იქნას 11.900 ჰექტარი და მოსხურებით—2.000 ჰექტარი.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ბრძოლა მაროკოს კალიასთან ჩაატაროს სპეციალურად მოწყობილი ექსპედიციის მეშვეობით.

5. „საბამბე რაიონების კოლექტიური მეურნეობებისათვის მინერალურ სასუქზე არსებული შეღავათების გაუქმებისა და საბამბე რაიონებში ტრაქტორისტ-კოლმეურნეთა შრომის სასყიდლის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. დეკემბრის 30-ის თარიღის და 2186 №-ის დადგენილების შესაბამისად, არა გუნდ-გუნდად მფრინავ კალია-მავნებელთა (მჭედელა) დამუშავება მეურნეობების მიწებზე ჩატარებულ იქნას თვით ამ მეურნეობათა ძალებით და სახსრით და ამ მუშაობის ხელმძღვანელობა დაეკისროს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს და სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს. არა გუნდ-გუნდად მფრინავი კალიის დამუშავება სახელმწიფო ფონდის მიწებზე ჩატარებულ იქნას სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრით.

6. რადგანაც მაროკოს კალიასთან ბრძოლა გაჭიანურდა, წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—სათანადო ღონისძიებათა ჩატარებით ლიკვიდირებულყოს მიმდინარე წელს მაროკოს კალიის ყველა ბუდობი.

7. პერსონალური პასუხისმგებლობა კალია-მავნებლებთან ბრძოლის წარმატებით ჩატარებისათვის დაეკისროს შემდეგ ამხანაგებს:

სიღნაღის რაიონში—სიღნაღის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ალავერდაშვილს, გურჯაანის რაიონში—გურჯაანის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ოქროპირიძეს, საგარეჯოს რაიონში—საგარეჯოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. მთვრალაშვილს, ყვარლის რაიონში—ყვარლის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ბაიდოშვილს და ყარაიის რაიონში—ყარაიის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ჰუსეინოვს.

8. წინადადება მიეცეს სიღნაღის, გურჯაანის, ყვარლის, საგარეჯოს და ყარაიის რაიონების სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს-კალია მავნებელთან ბრძოლისათვის საჭირო მუშაობის წარმატებით ჩასატარებლად მობილიზებულყონ აგროტექნიკური პერსონალი, მუშა-ძალა, ინვენტარი, ჭაპანზიდვის ტრანსპორტი და ავტომანქანები საჭირო რაოდენობით და აგრეთვე უზრუნველყონ სასოფლო საბჭოების უშუალო და აქტიური მონაწილეობა კალია-მავნებლებთან ბრძოლის საქმეში.

9. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში—გასცეს განკარგულება კალია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავნებლებთან ბრძოლისათვის საჭირო მუშაობის შესახები კორესპონდენციის და დეპეშების რიგს გარეშე მიღების, გაგზავნისა და მიტანის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ვ. დეკანოზოვი.**

საქ-ს სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ს. მებუკე.**

1937 წ. მარტის 25, № 317.
ტფილისი.

დანართი

გ ე გ მ ა

საქართველოს სსრ-ში კალია-მავნებლებთან ბრძოლისა 1937 წელს

რაიონები	დასამუშავებელი ფართობი ჰექტარობით				
	მაროკოს კალია	იტალიურ. კალია	მჭედელა		კალიის ყოველი სახე
			სულ	აქედან მეურნეობ. ხარჯზე	
1. გურჯაანის	—	1.600	1.500	500	3.100
2. სიღნაღის	2.000	4.100	4.000	500	10.100
3. ყვარლის	—	—	500	100	500
4. საგარეჯოს	—	100	—	—	100
5. ყარაიის	—	100	—	—	100
სულ	2.000	5.800	6.100	1.100	13.000

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მჭედელას მოსხურების მეთოდით სიღნაღის რაიონში მუშაობა ჩატარებულ იქნას 1.000 ჰექტარზე და გურჯაანის რაიონში 1.000 ჰექტარზე, ხოლო სულ 2000 ჰექტარზე.

ვაჭრობა. მოგვარაგება.

59. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სავაჭრო ორგანიზაციების (სავაჭროების) რეორგანიზაციისა და მათი ფინანსიური მდგომარეობის შესახებ.

„საქართველოს სსრ სავაჭროების რეორგანიზაციის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წ. თებერვლის 17-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შეერთებულ იქნას საქკვებსავაჭრო საქსახვაჭროსთან ერთიან შერეულ რესპუბლიკურ სავაჭროდ (საქსავაჭრო).

2. მოწყობილ იქნას დამოუკიდებელი შერეული სავაჭრო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (აჭარსავაჭრო)—საქსავაჭროს და საქკვებსავაჭროს აჭარის განყობილებათა ბაზაზე.

3. მოწყობილ იქნას ქალ. ტფილისში დამოუკიდებელი საქალაქო პურის სავაჭრო (ტფილპურსავაჭრო) ტფილკვებსავაჭროს პურის კონტორის ბაზაზე.

4. ტფილკვებსავაჭროს მძიმე ფინანსიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, მისი შეერთება ტფილმრეწვსავაჭროსთან დროებით შეჩერებულ იქნას, ვიდრე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო გადაწყვეტდეს მის წინაშე აღძრულ ფინანსიურ საკითხებს, და ჩატარებულ იქნას მხოლოდ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) გადაეცეს ტფილმრეწვსავაჭროს ტფილკვებსავაჭროსაგან სასყიდლის გადახდით არსებული კანონების საფუძველზე:

1) 30 საპროდუქტო მაღაზია ინვენტარით, საქონლით და მატერიალური ფასეულობით;

2) სასაწყობო მეურნეობა, ტრანსპორტი და ყველა დამხმარე წამოწყება;

ბ) ტფილკვებსავაჭროს დანარჩენი სასურსათო ქსელი, როგორც არარენტაბელური, დაიხუროს.

5. საქართველოს სსრ შინაგანი ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი, რესპუბლიკური ქვემდებარეობის სავაჭროების საფინანსო გეგმა, შედგენილი 1937 წლისთვის მიცემული გეგმის მაჩვენებელთა საფუძველზე, მიღებულ იქნას და ამ სავაჭროების საკუთარ საბრუნავ სახსარში მომხდარი გარღვევა განისაზღვროს 19.700 ათასი მან. რაოდენობით (1937 წლის საგეგმო დანაგროვთა გამოკლებით); ეს გარღვევა შევსებულ იქნას 1937 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 10.490 ათასი მან. რაოდენობით, რის შემდეგაც დაუფარავი დარჩება 9.200 ათასი მან.

6. სავაჭროების საკუთარ საბრუნავ სახსართა გარღვევის ზემოაღნიშნული თანხის დასაფარავად, რომელიც საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ იფარება:

ა) ეთხოვოს სსრ კავშირის შინაგანი ვაჭრობის სახალხო კომისარს ამხ. ვეიცერს გადმოგზავნოს არა უგვიანეს 1937 წლის მარტისა სამი მილიონი მან., რაც ამ საგანზე მომხდარი გადაწყვეტილების თანახმად, გაცემულ უნდა იქნას სსრ კავშირის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის სახსრიდან;

ბ) ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს—დააჩქაროს საკითხის გადაწყვეტა, რომ ტფილკვებსავაჭროს (მის პურის კონტორას) ჩამოეწეროს 2.490 ათასი მან.—„პურცხობამრეწვის“ ტრესტისადმი დავალიანება;

გ) ეთხოვოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს—გაიღოს დამატებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს სსრ სავაჭროების საბრუნავ სახსართა დასაფარავად 3.800 ათასი მან.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—გაითვალისწინოს 1937 წლის II კვარტალის საბიუჯეტო საკასო გეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაში საქართველოს სსრ სავაჭროებისათვის მთელი თანხის მიცემა, რაც ეროვნული წლიური დანიშნულებისამებრ, სავაჭროების საბრუნავ სახსართა შესავსებად (5.490 ათასი მან.).

1937 წლის II კვარტალისათვის ბიუჯეტის საკასო გეგმით გათვალისწინებულ ასიგნვებიდან 4.590 ათასი მან. რაოდენობით მიეცეს:

აჭარსავაჭროს	1.000	ათასი მან.
აფსავაჭროს	1.000	„ „
საქკვებსავაჭროს	1.590	„ „
ტფილმრეწვსავაჭროს	1.000	„ „

8. შეჩერებულ იქნას აღსრულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის ბრძანებისა ტფილკვებსავაჭროსათვის (პურის კონტორისათვის) „პურცხობმრეწვის“ ტრესტის სასარგებლოდ 1.126 ათასი მან. გადახდევინების შესახებ, ვიდრე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში გადაწყდებოდეს აღნიშნული დავალიანების ჩამოწერის საკითხი.

9. ტფილმრეწვსავაჭროს მიერ სასურსათო საგნების ვაჭრობის დამატებით საქონელბრუნვის მიღებასთან და აგრეთვე საქსავაჭროს მიერ საქკვებსავაჭროს ქსელის მიღებასთან დაკავშირებით, აღიძრას სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის წინაშე საკითხი ამ ორგანიზაციების საქონელბრუნვაში მათ საკუთარ საბრუნავ სახსართა საწილადო მონაწილეობის შემცირებული პროცენტის დაწესების შესახებ, ა/წ. მარტის 1-თვის არსებული საბრუნავ სახსართა ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით.

10. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შინაგანი ვაჭრობის სახალხო კომისარს ამხ. ფანცხავას—ჩაატაროს დაუყოვნებლივ ამა დადგენილების საფუძველზე სავაჭროების რეორგანიზაცია და არა უგვიანეს ა/წ. აპრილის 20-ისა მოახსენოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ჩატარებული მუშაობის შედეგი.

11. სავაჭროების რეორგანიზაცია და შეერთება უნდა მოხდეს 1937 წ. მარტის 1-თვის არსებული ბალანსით.

საქ-ს სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ-ს სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ს. მებუკე.**

1937 წ. თებერვლის 23. № 198.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

60. დადგენილება ს. კ. ს.

სახელმწიფოსათვის მისაწოდებელი კარტოფილის ჩაბარების ნორმების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დატოვებულ იქნას 1937 წლისათვის—1936 წელში მომქმედი სახელმწიფოსათვის მისაწოდებელი კარტოფილის ჩაბარების შემდეგი ნორმები:

ცენტნერობით — ჰექტარიდან)

რაიონები	კოლმეურნეობებისათვის, რომელთაც მომსახურეობას უწევენ სამანქ. სატ. სადგურები	კოლმეურნეობებისათვის რომელთაც არ უწევენ მომსახურეობას სამანქ. სატრაქ. სადგურები	კოლმეურნეობებისათვის	ერთპიროვნულ მეურნეობებისათვის
ახალციხის და ალბულაღის რაიონები	8	10	14	16
ხაშურის, ბორჯომის, ლუქსემბურგის, წალკის, ბორჩალოს, ბაშკიჩეთის რაიონები	6	7	9	10,65
ადიგენის, ასპინძის, თიანეთის, საგარეჯოს რაიონები და აჭარის ასსრ	4	5	7	8,5
ონის რაიონი	—	5	7	7,5

2. დაევალოს აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს აჭარის ასსრ-ში ამ დადგენილების პირველ მუხლში ჩამოთვლილი რაიონების რაიაღმასკომებსა და რაიონულ დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულებს შეუდგნენ კართოფილის მიწოდების ვალდებულებათა ჩაბარებას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის. მ. ა. **ს. მებუკე.**

1937 წ. აპრილის 4, № 340.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 80 №-ში 1937 წ. აპრილის 8

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინანსები

61. დადგენილება ს. კ. ს.

„საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის დადგენილი გამოსაღებით კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობების დაბეგვრის თაობაზე“ გამოცემული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-3 მუხლის შეცვლის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წ. მარტის 14-ის თარიღის და 91/414 №-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მე-13 მუხლი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. იანვრის 23-ის თარიღის და 25 №-ის დადგენილებისა „1936 წ. საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსაღებით კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობის დაბეგვრის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. მე-3 №-ი, მუხ. 24; 1937 წ. მე-2 №-ი მუხ. 18) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„13. არ დაიბეგრებიან კულტგამოსაღებით დამხმარე სასოფლო მეურნეობის შემოსავლის მიხედვით კოლექტიურ მეურნეობების წევრ მუშა-მოსამსახურეთა ის მეურნეობანი, რომლის ძირითადი მომუშავეც მიმდინარე წლის იანვრის 1-თვის იმყოფება მუდმივ სამუშაოზე დაქირავებით არა ნაკლებ ერთი წლისა, ხოლო ამ მეურნეობის დანარჩენი შრომაუნარიანი წევრები, გარდა მოსწავლეებისა და ამ პირისა, რომელიც საოჯახო მეურნეობას უძღვება, აგრეთვე დაქირავებით მუშაობენ.

არ დაიბეგრებიან აგრეთვე კულტგამოსაღებით დამხმარე სასოფლო მეურნეობის შემოსავლის მიხედვით იმ მუშა-მოსამსახურეთა მეურნეობანი, რომელნიც კოლექტიურ მეურნეობაში არ იმყოფებიან, უკეთუ ამ მეურნეობის წევრნი შეეფერებიან ზემოაღნიშნულ პირობებს, ხოლო დამხმარე სასოფლო მეურნეობა არ აღემატება ისეთ ოდენობას, რაც ნებადართულია სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით უწყებული რაიონის კოლმეურნეთათვის. ხოლო უკეთუ იმ ადგილას, სადაც შემოღებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, ასეთი მეურნეობის ძირითადი მომუშავე იმყოფება მუდმივ სამუშაოზე დაქირავებით ერთ

1951

37-148

წელზე ნაკლები ხნით, ეს მეურნეობა დაიბეგრება კულტგამოსაღებით იმ ბაზა-კვეთის კვალობაზე, რაც დადგენილია შემოსავლის არაგანსაზოგადოებული წყაროების მქონე კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის".

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ვ. **დეკანოზოვი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ს. მებუკე.**

1937 წ. მარტის 26. № 320.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. "კომუნისტის" 81 №-ში 1937 წ. აპრილის 9.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1937 წ. № 17. პ/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ; 1/2 1 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 8|IV; ხელმოწერილია დასაბეჭდად 25|IV; ტირაჟი 1.900.

მთავლ. რწმ. № 16988 საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა ტფილისი. დაკვ. № 538-ა